წელიწადი მე-2 ... 15 დეკემ...

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ... ზულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი ... ტი ტექსტის წინ 30 კ. ... გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 509 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 509

## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო".

რედაქტორი—**ი. თ. ცინცაძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო".**

## განცხადება

### მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის

კავკასიის უავგუსტოეს მეფის ნაცვლის ნებართვით ჰარასკევს, 16 ამა დეკემბერს **ქ. ქუთაისში ყულაბებით შეკრებილ იქნება შემოწირულება ამიერ კავკასიის ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს** ნივთიერ საშუალებათა გასამლიერებლათ.

მიმართავს რა ყველა გულმტკივნეულ ადამიანებს გულითადი თხოვნით, რათა დაეხმარონ ამიერ კავკასიის ყრუ-მუნჯთა ორგანიზაციებს, ქუთაისის ქალთა წრეს მტკიცეთ სწამს, რომ ეს მოწოდება მისი, არ დარჩება უყურადღებოთ არავისაგან.

ყულაბები დარიგდება 15 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში.

ქუთაისის ქალთა წრე.

„სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვების შვილები".

**ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის" საშუალებით** შეიძინა საუკეთესო ხარისხის (ინგლისის) დიდძალი პარტია

**შაბიაბანი და გოგირდი.** შაბიაბანის შეძენა შეუძლიათ: სასოფლო ბანკებს, კოოპერატივებს და კერძო მევენახეებს **ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის" მიერ მიცემული მოწმობებით,** რომელიც საქონლის შეძენისას წარმოდგენილი უნდა იქნეს **სავაჭრო სახლში.** 6—2

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: **ლვოვზოვის ქუჩა,** ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხორვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ

**ექიმი ა. დ. მამაგარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულ-სუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

**ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული**

**ბებია ს. ს. ნემსაძისა** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გეგეჭკორის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული,** მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გადმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომარჩინა ბოვში უპერაციოთ **ვარლამ ხუჯაძე.**

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სასქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

**ს.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი**

ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ-აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მ." და „სამშ." რედაქცია; ან პროვიზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ქიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**საჭიროა** ბინა 3-5 ოთახიანი. სასურველია ელექტრონის განათებით და ეზოს შენობებით. მისამართი: სასტუმრო „ფრანცია", როომ. იაკ. კალნინი.

ელექტრო **„რადიუმ"** თეატრი

ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

**რუსის ჯარი სალონიკში** სამხედრო ნამდვილიდან

**უ ც ხ ო  ს უ ლ ი**

თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

**ინგლისური კლიტე** სახუმარო

ელექტრო **„ამპირ"** თეატრი

ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები

**ა ფ თ რ ე ბ ი (ვამპირები)** მე-3 სერია

**გაჭიანურებული სიყვარული** სახუმარო.

## მსოფლიო ომი.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

14 დეკემბერი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირე ზარბაზნებს უშენდა სოფ. ჰეპიაკის, მანაუვის მიდამოებს და გუკალოვიცეს ტყეს. ბრზეჟანის სამხრეთით მტერი ზარბაზნებს უშენს ჩვენ მიერ აღებულ ადგილებს სოფ. ...-დოლნაიის და სვისტელნიკის აღმოსავლეთ მაღლობებში. მოლდავიის საზღვარზე, მდ. კასინიას ველში, რუმინეთის ჯარმა მარჯვე შეტევით დაიბრუნა გუშინ დაკარგული მაღლობი.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

რუმინიის ასპარეზი. მდ. ხუმიცას სათავეში მოპირდაპირეს ცხარე იერიშები მოჰქონდა, დრაგოსლავლის მიდამოებში, მაგრამ რუმინელებმა სამაგალითო იერიშებით მოიგერიეს და 3 ტყვიისმფრქვეველი ხელთ იგდეს. მდ. რუმინკის სათავეში მოპირდაპირემ უკან დაახევინა ჩვენს მოწინავე რაზმებს, რომლებიც შთავარ ასპარეზზე გადავიდნენ. მდ. კინუას მიდამოებში, რიმნიკ სერატის დასავლეთით, მტრის ყველა იერიშები სრულიათ მოვიგერიეთ. მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირეს დიდძალი ჯარით იერიშები მოჰქონდა. ფილპეშტი ლიშნოტიანკის ხაზზე, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა იყო სოფ. ფილიპეშტთან, რომელიც მოპირდაპირის ზარბაზნებით გადაიბუგა, რის გამოც ეს სოფელი მივატოვეთ.

დობრუჯაში მოდარაჯე რაზმები ერთმანეთს უშენენ.

13 დეკემბერი.

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: ჩრდილოეთის ზღვაში 8 დეკემბერს 2 ნაღმოსანი დიდი ნისლის გამო ერთმანეთს დაეჯახა და დაიღუპა. 6 აფიცერი და 15 მეზღვაური დაიხრჩო.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სომას მიდამოებში მტრის 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, ერთი სპენაკურთან დაეცა, მეორე ლმენკურთან, მესამე ლაანკურთან.

მონასტირის სამხრეთ მიდამოებში ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით.

**რომი.** საზღვაო სამინისტრო იტყობინება; 10 დეკემბერს ღამე მტრის ესკადრამ ორტრანის სრუტეში იერიშები მიიტანა მოდარაჯე გემზე. ეს მალე შეამჩნია ფრანგების კონტრ-ნაღმოსანმა. ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც იტალიის გემებს მოკავშირეთა გემებიც მიეშველნენ, მტრის ესკადრა ღამის წყვდიადში მიეფარა. მოპირდაპირის ზარალი არ ვიცით, ფრანგების კონტრ-ნაღმოსანი და მოდარაჯე გემი მცირეოდნად დაზიანდა.

**პარიზი.** ავსტრიის გაზეთები იტყობინებიან: სიკვდილით დასჯა კრამარჟს 15 წლის კატორღით შეუცვალეს, რაშინს—10 წლის კატორღით, ზამაზანს—5 წლით.

**სოლუნი.** სოლუნში მომქმედ იტალიის კორპუსის მთავარსარდალი გენერ. პეტიტი მონასტირის მიდამოებში შრაპნელის ნატეხით დაიჭრა, იმავე დროს დაიჭრა იტალიის მთავარ შტაბის აფიცეროც.

**სოლუნი.** (დაგვიანებულია) ბულგარელები განაგრძობენ ზარბაზნების დაშენას.

**რომი.** შობის დღეს პაპის უხუცესმა კარდინალმა ვანუტელიმ პაპს თანაგრძნობა გამოუცხადა კოლეგიის სეხელით ერთაშორის მშვიდობიანობის დამყარების სურვილისათვის კარდინალმა ასე დაასრულა სიტყვა: მთელი კაცობრიობა მშვიდობიანობის დამყარებას ესწრაფვის, ეს კი ეკლესიის დაუხმარებლად განუხორციელებელიაო. პაპმა კარდინალთა კოლეგია დალოცა და წარმოსთქვა: დაე, აღსრულდეს ანგელოსის საგალობელი—„ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება."

**სტოკჰოლმი** ბერლინიდან ოფიც. იტყობინებიან: უზას ველის ჩრდილოეთით რუსებმა შემოგვიტიეს და იერიშის მერე მდიდარას მაღლობებზე გამაგრდნენო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ზავის გარშემო.**

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში რინოდელს უთქვამს სოციალისტების სახელით: საჭიროა მივიღოთ გერმანეთის საზავო წინადადება, რომ გავიგოთ მათი პირობებიო.

## № 21 ✝ *)

(„ნომერი ოცდაერთი ჯვრით").

დრამა ხუთ მოქმედებად

**მოქმედება მესამე.**

**სცენა:** უსწორ-მასწორო გორაკიანი ადგილია. გორაკების იქით, შორს, მოსჩანს კავკასიონის მთები. ერთი გორაკის ძირას მიდგმულია უბრით დახურული ფიცრული სახლი რამდენიმე ფანჯარა აქვს, აქეთ იქით. უკანა კედელში კარებია. ღია ფანჯრებიდან მოსჩანს —**ერთ მხარეს** ერთმანეთზე მიყრილ-მოყრილი ქოხმახები, **მეორე მხარეს** კი მდიდრული სასახლეები.

ზაფხულია. საღამო ჟამი.

ოთახი ღარიბულათა, მაგრამ სუფთად არის მოწყობილი. კედლებთან ტახტებია, ფარდაგ გადაფარებული. შუაში სდგას დიდი, უბრალო სტოლი, ლურჯი სუფრით. აქა-იქ ალაგია სკამები და ტაბურეტკები. სტოლზე დგას დიდი, იაფ ფასიანი ლამფა, აწყვია რამდენიმე ქართული წიგნი, საწერ კალამი (უბრალო).

ერთ ერთ კედელზე ჩამოკიდებულია ფოტოგრაფიული სურათები, მეორეზე—სურათები (სადა ჩარჩოებში) აკაკისა, ნინოშვილისა, უაზბეგისა, ნოე ჟორდანიასი და მარქსისა. სურათების ძირში ლურსმანზეა ჩამოცმული რამდენიმე ძველის გაზეთები.

ფარდის ახლოსას **ნინო** ტახტის საფენს ასწორებს, **ქეთო** სტოლთან ზის და გაზეთს კითხულობს.

I

**ქეთო.** დახე, ქალო, რა უბედურება მომხდარა! ვიღაცას პატარა ბავშვი ბანიდან გადმოვარდნილა და სულ დამტვრეულა!.. ვაი იმის დედას!

**ნინო.** საბრალო ბავშვი! (ამოიოხრებს).

**ქეთო.** (მცირე ფიქრის შემდეგ, გაზეთს სტოლზე დადებს) ვინ იცის, ჩემო კარგო, რამდენი უბედურება ხდება ჩვენის დაუდევრობითა და ჩვენის ცხოვრების მოუწყობლობით?!.

**ნინო.** ტყვილად კი არ ამბობს ჩვენი ამხანაგი ირაკლი კოვზირიძე—ზიზღის ღირსნი არიან ისინი, ვისაც გამტანობა და მეზობლის ჯავრი არა აქვსო... რა იქნებოდა, რომ ყური ეგდოთ იმ ბავშვისთვის. ვინ იცის დედა მისი სამუშაოდაც იყო წასული... მესარეცხეთ, ან დღიური ლუკმის საძებნელად?

**ქეთო.** (მივა იმ ფანჯარასთან, საიდანაც მოსჩანს სასახლეები) რასაკვირველია, ვინმე უპატრონო იქნებოდა, თორემ აბა პოლოსას კი არ გადმოუვარდებოდა ბავშვი! გახედე, რა პორთულ-მოკაზმული სასახლე უდგია?!

**ნინო.** ოხრათაც დარჩენია! მერე ჩვენრა! ღმერთო, რატომ ისე არ არის ცხოვრება მოწყობილი, რომ ყველას რიგიანად შეეძლოს ყოფნა? დღეს სადილიც კი არ მიჭამია... შიმშილით გული მიწუხდება. ამ უქმეებმა ხომ საქმე გააჭირეს. სამი დღეა ქარხანა დაკეტილია და გროში ვერსად ვიშოვე.

**ქეთო.** მოგიკვდა ჩემი თავი! უსადილო ხარ? აი, გოგო, ათი შაური მაქვს, წადი პური იყიდე და პატარა შენაყრდი, ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდეს ჩვენი კრება?

**ნინო.** (დარცხვენით) უკანასკნელი ათი შაურიც რომ გამოგართვა, მერე შენ რაღა დაგრჩება?

**ქეთო.** მე კიდევ სხვას დავესესხები. ამბობენ, ამხანაგ ბერგს რუსეთიდან ბევრი ფული მოსვლიაო.

**ნინო.** ბერგი... ბერგი! რა ლამაზია... მდიდარი... ღმერთს ყოველივე სიკეთე იმისთვის მიუცია!

**ქეთო.** (ღიმილით) ხომ არ მოგწონს, გოგო? (მივა და რაღაცს უჩურჩულებს).

**ნინო.** უი დამიდგეს თვალები, რას ამბობ, ბეჩა?

**ქეთო.** რას უნდა ვამბობდე? შენსავით ახალგაზდა რომ ვიყვე, კისერზე ჩა

*) იხ. „სამშობლო" № 508.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციაში ალაგ-ალაგ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**კავკასიის ასპარეზი.** არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინიის ასპარეზი.** მოლდავიაში ზოგან ხელ ჩართული ბრძოლებია. დუნაის მარცხენა ნაპირზე ზარბაზნების სროლაა. რუმინელებმა დასტოვეს სოფ. ფილიპეშტი.

**დასავლეთი ასპარეზი.** საყურადღებოა მხოლოდ ჰაერში ბძროლა. ფრანგებმა მოწინააღმდეგის 3 საფრენი ძირს ჩამოაგდეს.

**მაკედონიის ასპარეზი.** მონასტირის სამხრეთით მედგარი ბრძოლა გაჩაღდა.

---

— ამერიკაში ევროპიდან მისულ ცნობებს დიდი აურ-ზაური გამოუწვევიათ. იქ ყველა დარწმუნებულია ეხლა, რომ ზავი აუცილებელი იქნება. ამის გამო მრავალი სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებათა აქციების ღირებულება ერთბაშად დაეცა.

— გერმანული გაზეთები აღნიშნავენ: რუსეთის შინაგან მინისტრად ნამყოფ საზონოვის ხელახლად მონაწილეობის მიღება სახელმწიფო საქმეებში იმას მოასწავებს, რომ რუსეთის მთავრობაც ყურადღებით ეპყრობა გერმანეთის საზავო წინადადებას და გამოცდილ პოლიტიკოსის საზონოვის დაუკითხავად რაიმე გადაწყვეტილებას უფრთხიან, იმიტომ რომ საზონოვი როგორც ოთხთა შეთანხმების ერთი შემქნელთაგანი, იმდენად მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რომ მის სიტყვას მეტ ანგარიშს გაუწევენ ინგლისში და საფრანგეთში.

— ნეიტრალ ქვეყნებში ხმებია გავრცელებული, რომ ზავის ჩამოგდების პირობათ გერმანეთი რუსეთს მოსთხოვს ხელი აიღოს პოლონეთზე, ლიტვაზე და კურლანდიაზე.

— შვედური გაზეთების ცნობით ვილსონი ააჩქარა იმ გარემოებამ, რომ ისპანია თვით აპირებდა საზავო შუამავლობის გაწევას. ამ შემთხვევაში საზავო კონგრესი იხპანიაში იქნებოდა მოწვეული, რაც ამერიკის პრესტიჟს ერთობ დასცემდა.

— მოკავშირეთა დიპლომატიურ წრეებში უკვე სჯიან შეერთებულ შტატების წინადადებას. შტატების მთავრობისათვის უკვე ამზადებენ პასუხს, რომელშიაც იქნება ნათქვამი, რომ, თუმცა მოკავშირეებს ესმით ამერიკელთა ჰუმანიური გრძნობა, კეთილშობილური აზრი, მაგრამ ისინი მაინც იძულებულნი არიან უარი სთქვან ზავზე.

— რომიდან იტყობინებიან, რომ მოკლე ხანში რომის პაპი მეომარ სახელმწიფოებს წინადადებით მიმართავს ზავი ჩამოაგდონ.

— გაზ. „ბირჟ. ვედ." იმ გარემოებას რომ გერმანეთმა პირველმა ჩამოაგდო მოლაპარაკება ზავის შესახებ, შემდეგნაირად ხსნის: ომის მესამე წელს გერმანელებმა უკანასკნელი ღონისძიება იხმარეს და საყოველთაო შრომის ბეგარა შემოიღეს; ამის შემდეგ აღარა დარჩებათ რა, გერმანელებს სანუგეშოთ. გაზეთს ასეთი შედარება მოჰყავს: ჰინდენბურგმა გვიჩვენა მედალის ცალი მხარე, რომელზედაც „ასპარეზების საუკეთესო მდგომარეობა" აწერია და არ აჩენს მედალის მეორე მხარეს, რომელიც ჰლაღადებს: „საყოველთაო შრომის ბეგარა, ქანც გამოლეული ავსტრო-უნგრეთი და მოგერიებითი ომის მწარმოებელი გერმანეთიო.

**საბერძნეთი.**

მოკავშირეებს დაუდგენიათ კორინთის ყელთან ახლოს, რომელიც პელოპონესს საბერძნეთს უერთებს, იყოლიონ მუდმივად ესკადრა გემებიდან თვალყურს ადევნებენ, რომ თესალიიდან პელოპონესში ჯარი არ გადაიყვანონ.

— მეამბოხეთა მიერ ეგეის რამდენიმე კუნძულის დაპყრობის გამო მეფე კონსტანტინეს მთავრობას პროტესტი განუცხადებია მოკავშირეთათვის და უთხოვნია გაგვაგებიეთ რას უპირებთ ჩვენ ქვეყანასაო.

— მეფე კონსტანტინემ საბერძნეთის ელჩი პარიზში, რომანოსი და—მადრიდში კაკლამონოსი თანამდებიდან გადაუყენებია, რადგანაც ისინი ვენიზელოსის მომხრედ ითვლებოდნენ.

**სხვადასხვა ამბები.**

ამას წინად ნეიტრალ ქვეყნების რამდენიმე ჟურნალისტს ერთად დაუვლიათ ავსტრია და გერმანია. ეს ჟურნალისტები ბევრ საყურადღებო ამბავს გადმოგვცემენ. მაგალითად მათი სიტყვით 1895 წელს დაბადებულთა (21 წლიანების) რიცხვი 800000-მდე ყოფილა. მათი წრთვნა სულ ბოლო ხანს დაუსრულებიათ და ბრძოლის ველზე ამ 2—3 კვირის წინად ვაუგზავნიათ, რაც შეეხება 1917 წელში გასაწვევებს, ამათ წრთვნას ეხლახან შესდგომიან. შუაგულ გერმანიაში ყველგან სამუშაოებზე სამხედრო ტყვეები, პოლონელები და ბელგიელები დგანან.

— ელზას ლორენიდან საფრანგეთში ნეიტრალ ქვეყნებით გაქცეულა გერმანეთის 3880 ქვეშევრდომი. გერმანეთის მთავრობას გამოუცხადებია ესენი ჩვენ ქვეშევრდომებათ აღარ ჩაითვლებიანო. ეს უკვე მეათე შემთხვევაა ამ ომის განმავლობაში

---

## ქართველი გრიგორიანები

ისტორიული საბუთებიც, მაგალითად გლეხთა გუჯრები, გვეუბნება, რომ გრიგორიანობა ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც ყოფილა ხელსაყრელი საშუალება. ჩვენ დღეს ვიცით, რომ ძველად გლეხი ყმა გრიგორიანობას ღებულობდა თავისუფლების მოპოვების მიზნით ყმა თავის ბატონს ვერ მიატოვებდა. ბატონს შეეძლო თავისი ურჩი გაქცეული ყმა უკანვე დაებრუნებინა. ამიტომ გაჯახირებული ცხოვრებისაგან გამწარებული ყმა ხერხს მამართავდა ხოლმე: ტფილისს მოდიოდა და აქ სჯულს იცვლიდა—სომხებს ეკედლებოდა და ამ საშუალებით თავს იხსნიდა, ვინაიდან ბატონი მის გზა-კვალს ველარ აგნებდა.

ასეთი შემთხვევები მით უფრო ადვილი წარმოსადგენია, რომ ჯერ ერთი, ძველად სჯულზე მტკიცე ქართველი მხოლოდ „ურჯულობას" ერიდებოდა ცეცხლივით, რაიც მისი შეხედულებით, ყოველი არაქრისტიანული რელიგია იყო. და მეორეც ის, რომ საქართველოში სომხები, რომელნიც იმ დროსაც აღებ-მიცემობას მისდევდნენ, ზოგიერთ პრივილეგიებით სარგებლობდნენ. გრიგორიანობის მიღებას ქართველების მიერ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ სარწმუნოებასა და მართლმადიდებლობას შორის ერთობ მცირე განსხვავებაა.

მაგრამ ასეთ გლეხ-ყმას, ტომით ქართველსა, განა-ქართველობა ერთმევა მით, რომ მის არა შორეულს წინაპარს, გარემოებათა ძალდატანებით, თავისი ძველი სჯული უკუ უგდია და მეზობლის სჯულს ზიარებია და ამ გზით ტანჯულ ცხოვრებისათვის თავი დაუღწევია?

ქართველი ერი იმ დროსაც კი, როდესაც იგი ნატურალურ მეურნეობას ეწოდა, სრულად კარჩაკეტილი როდი იყო და ვერც იქნებოდა—მისვლა-მოსვლა, ურთიერთობა, ერთნაირი, ასე ვთქვათ, კონტაქტი მეზობელ ერებთან, ამა თუ იმ სახით, მუდამ ჰქონდა. ამ ურთიერთობის მაჩვენებელი სხვათა შორის ორი ფაქტია: 1) სომხები მისიონერობას ეწეოდნენ ქართველ მართლმადიდებელთა შორის თავის სარწმუნოების გასავრცელებლად და 2) ქართველ-სომხეთა დამოყვრება-ქორწინების საშუალებით.

რა თქმა უნდა სომხეთა მისიონერობა უშედეგოდ არ რჩებოდა და ზოგი ქართველი გრიგორიანობაზე გადადიოდა. მამა მიხეილ თამარაშვილის მიერ ვატიკანში შეკრებილ საბუთებიდან სჩანს, რომ სომხის ტერტერები დიდს მოცილეობას უწევდნენ რომაელ პატრებს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში, ქართველთა შორის სამისიონერო მოღვაწეობის გაწევის საქმეში—პატრები თავის სასულიერო მთავრობას რომში სწერდნენ ხოლმე, რაც ეს ტერტერები გაჩნდნენ, მრავალი ქართველნი გადავიდნენ იმათ წესზედაო".

დაქორწინება კი ქართლისა სომხის ქალზე ან სომხისა ქართველზე ხშირად ჰყოფდა ოჯახს სარწმუნოებრივ—ხშირად სომხის სარწმუნოების წესით ინათლებოდნენ ქართველთა შთამომავალნი. დღეს ბევრს ადგილას, მაგ. ჯავახეთში, შეხვდებით, რომ ერთი ოჯახის წევრნი სხვა და სხვა სარწმუნოებისანი - მართლმადიდებელნი და გრიგორიანები არიან. ბევრი მაგალითები ვიცით იმისა, რომ ქართველ ქალს, სომეხზე გათხოვილს, სჯული გამოეცვალოს ქმრის დაჟინებულის თხოვნით, ან კიდევ ქართველ ქმარს, რომელსაც სომხის ქალი შეურთავს, არა ერთხელ ცოლისათვის დაუთმია და შვილი სომხურად მოუნათლავს. არც კანონი უშლიდა ამას, ვინაიდან კანონის წინაშე ყველა სარწმუნოება თანასწორი იყო.

ვინ იცის, რამდენმა ქართველმა დასტოვა თავისი სჯული სომეხ მისიონერთა წყალობით ან შერეულ ქორწინებათა გამო! მაგრამ კვლავ ვიტყვით, რომ ვერც ერთს ასეთს ქართველს, სჯულს-შეცვლილს, ქართველობას ვერ წავართმევთ იმ უბრალო და აუცილებელ ჭეშმარიტების ძალით რომელიც ამბობს, რომ სარწმუნოება ერთია და ეროვნება მეორე.

როგორც ყოველი ერის, ისე ქართველი ერის ცხოვრებაშიც კიდევ მრავალ სხვა შემთხვევებსაც ვპოულობთ იმისას, რომ ერთი ერის შვილი სტოვებს თავის მამაპაპათა სარწმუნოებას. ჩვენ ძველ დროთა მაგალითებს არ გამოვეკიდებით, თორემ იქაც ვნახავთ ამის [illegible] ქართლის ტიპიკონის [illegible] იყვნენ, მაგ, მეათე [illegible] ქართველების დიდი ნაწილი, რომელნიც დინარ დედოფალმა მართლმადიდებლად მოაქცია. ჩვენთვის მეტი ფასი აქვს ახლო წარსულს და დღევანდელ დღეს. აქ კი რას ვხედავთ? მოვიგონოთ თუნდ ერთი უბრალო შემთხვევა, რომელსაც სპარსეთში, დიდი ხანი არ არის მას აქეთ, ჰქონია ადგილი. თავრიზში *) სამხედრო სამსახურში ყოფილა ვინმე მაიორი დავით საგინაშვილი, სპარსეთის ჯარის ინსტრუქტორად დანიშნული რუსის მთავრობის მიერ. შემდეგ იგი აქ ალექსანდრე ბატონიშვილს დაახლოვებია და ამ მიზეზისა გამო თავის ქვეყანაში დაბრუნება ველარ გაუბედნია, დარჩენილა სამუდამოთ აქ, მიუღია სპარსეთის ქვეშევრდომობა, ცოლად სომხის ქალი უთხოვია და შვილებიც გრიგორიანთა სარწმუნოებაზე მოუნათლავს. მისი შვილისშვილი სოლომონ ხანი ახლაც ცოცხალია, იქაური ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორია, თვითონაც და მისი ოჯახობაც სომხის სარწმუნოებისანი არიან, გვარათ საგინიანი.

ბ გველესიანი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო" 1916 წ. № 183.

## ახალი ამბავი.

რედაქციისაგან. რადგანაც ძმ. გოკიელების მაღაზიას ჩვენი გაზეთის ზომის ქაღალდი გამოელია, ჩვენ იძულებული გავხდით გამოგვეცხადებინა, რომ გაზეთს პატარა ფორმატის ქაღალდზე დავბეჭდავთო.

რადგანაც დღეს გარემოება შეიცვალა და უფრო დიდი ზომის ქაღალდი ვიშოვეთ, ჩვენს გაზეთს დღეიდან დაპატარავების მაგივრად ვადიდებთ

✤ ამ რამოდენიმე დღის წინათ ქალაქის საავათმყოფოს მოსამსახურეებმა ქალაქის გამგეობას მოსთხოვეს ჯამაგირების გადიდება 50% 60% პროცენტით, ქალაქის გამგეობამ განიხილა რა მათი მოთხოვნილება, გადასწყვიტა უსახსრობის გამო არ იქნას დაკმაყოფილებული. ამისათვის გუშინ მოსამსახურეებმა მუშაობას თავი დაანებეს.

✤ ქუთაისის დრამატიული დასი ბათუმიდან გუშინ ქუთაისს დაბრუნდა.

---

მოვეკიდებოდი და ი ლამაზ თვალებს დავუკოცნიდი! (იცინის).

**ნინო.** ნუ ხარ ადამიანო აგრეთი პირაღია. თუ გაგიგონა ყარდაშიანმა?!

**ქეთო.** თუ გამიგონა, იმისმა ცხვირმა, მამულები არ ამიწეროს. ნეტა თავს დამანებებდეს, თორემ მოხარულიც ვიქნები...

**ნინო.** შენ მარტო ცარიელი სიტყვები ხარ. (იცინის).

**ქეთო.** (ოცნებიანად) ეხ ბერგ... ბერგ!

**ნინო.** გაჩუმდი, ქალო! ბერგს ჩვენთვის არა სცალია.. ვერც კი გვამჩნევს. . ის განოს ეხრუკება...

**ქეთო.** (რომელიც ფანჯარაში თვალს მოჰკრავს პატარა ბიჭს) გოგი! გოგი! მიირბინე, გეთაყვა, ვახაკასთან, ორიგირვანქა პური გამოართვი, ნახევარ გირვანქა ყველი და მოგვიცუხცუხე, აგრემც დედაშენს გაეზდები! (გადააწოდებს ფულს, მერე მობრუნდება და ნინოს) რა სთქვი? განოს ეხრუკებაო? ფერი ფერსა მადლი ღმერთსა!..

**ნინო.** სწორედ რომ შესაფერისნი იქნებიან!

**ქეთო.** მე შენ გითხრა ლამაზი შვილები არ ეყოლებათ. რამ დახატა მაგრე ეგ დასაქცევები!

**ნინო.** რატომ არ დაიხატებოდენ, სულ რძითა და ბულკის პურით არიან გაზდილნი. თავის დღეში გაჭირვება არ უნახავთ. (ამოიოხრებს).

**ქეთო.** ნუ გეშინია, აი გაჰყვები შენც ამხანაგ არტემას და სულ ქუდი ჰერსა ჰკარით ხოლმე!

**ნინო.** (მორცხვად თავს დახრის) მკვდარი მკვდარს ეკიდაო! (ამ დროს ფანჯრიდან მოისმის: **დეიდა! დეიდა!** ქეთო გადაეფინება ფანჯარას, გადასძახებს: „**შენ გაუზედნიერდი შენ დედას!**" და გამოართმევს ყველსა და პურს. მიიტანს სტოლთან, დაამტვრევს, დაალაგებს და პირველ ლუკმას თითონ აიღებს ნინოც მიუჯდება სტოლს და ... ილუკმება პურზე).

II

**ირაკლი.** (შემოდის დაღალული, ჩქარა სუნთქავს. ქუდს მოიხდის და ტახტზე გადაისვრის) გამარჯვება, ამხანაგებო! არავინ არის?

**ქეთო** (ღიმილით) ჩვენ ხალხი არა ვართ? როგორ თუ არავინ არის!

**ირაკლი.** ნეტავი შენ ხუმრობის გუნებაზე ხარ! (საათს დახედავს. ნინო საჩქაროდ გადაყლაპავს ლუკმას და სუფრას ალაგებს) აგერ მერვე საათი დაიწყო და სხვა ჯერ არავინ მოსულა! ღმერთო რა ხალხი ვართ? ჩვენ არც დროს ვაფასებთ და არც სიტყვას! განა არ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენთვის ერთი წუთიც კი ძვირფასია? ძაღლებივით დაგვდევენ უკან, მოსვენებას არ გვაძლევენ და ესენი კი მთელის საათობით იგვიანებენ! (გაჯავრებით ბოლთასა სცემს).

**ნინო.** ამხანაგო, გაჯავრება არ გიხდება!

**ირაკლი.** გაჯავრება კი არა, ლომის თავი მოვიკლა ისეთ გუნებაზე ვარ. ყველგან მოტყუება, ყველგან გაუტანლობა, ყველგან დაწიხვლა, ყველგან დამცირება! ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ცხოვრება!

**ქეთო.** რა მოგივიდა, ამხანაგო, შენ აღარ ხუმრობ?

**ნინო.** მართლა და რა მოგივიდა, ყმაწვილო?

**ირაკლი.** (სტოლთან სკამზე მიეგდება, თავს ხელებში ჩაიმალავს. მცირე პაუზა) მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ან მე უნდა ვიყო, ან **ის!** რომ იცოდეთ რა დამცირება გამოვიარე! არა! არა! ეს აუტანელია! ოხ, ღმერთო, ღმერთო.. (თავს უფრო დაბლა ხრის).

**ქეთო და ნინო** (მისცვივდებიან) რა მოგივიდა, ბიჭო, არ იტყვი?

**ირაკლი** (ხავხავით) ვიტყვი!.. დამალვა აღარ შემიძლია! თქვენ გულკეთილნი ხართ... თქვენ მიმიხვდებით... არ დამცინებთ... მე მიყვარდა! მე მიყვარს!.. იმან კი დამწიხლა! სხვაზე გამცვალა ოხ, ოხ!..

**ქეთო და ნინო** (გაოცებულნი) ვინ გიყვარს? ვინ ვისზე გაგცვალა?

**ირაკლი.** სჩანს ბედი არა მწყალობს... წავალ გადავიკარგები სადმე!..

**ქეთო** აგრეთი გულჩვილ არ მეგონე, ამხანაგო!

**ირაკლი** (ხმას აუწევს) მე გული აღარა მაქვს, იგი მოკვდა, დაიმარხა! დავკარგე ყოველივე, ამხანაგებო! (შეშლილივით აქეთ იქით იხედება) არა! აღარა ხართ ჩემი ამხანაგები! ჩემი ამხანაგი დღეის შემდეგ მხოლოდ ეს არის (ჯიბიდან რევოლვერს ამოიღებს და ხელში შეატრიალებს) ან მე, ან **ის!**

**ქეთო და ნინო** (ხელში სწვდებიან) გაგიჟდი თუ!

**ირაკლი** (მწარედ ჩაიცინებს. ჩაფიქრდება და მერე უცბათ) სად არას განო?

**ნინო** განო დღეს არ მოვა, შემოუთვლია: ავათა ვარო!

**ირაკლი** ხა, ხა, ხა, ავათა ვარო! ავათ კი არა, იმ ურიას ეკურკურება! მე ჰკვიანი, დაკვირვებული, იდეური ქალი მეგონა .. ვაღმერთებდი, ვათაყვანებდი და იმან კი დამწიხლა, სხვაზე გამცვალა! (სტოლზე დაემხობა, ყრუდ ქვითინებს, ქეთო და ნინო გაშტერებით შეჰყურებენ ხან ერთმანეთს, ხან ირაკლის, მერე წინ წამოდგებიან და ჩურჩულით)

**ქეთო** მართალი ყოფილა!

**ნინო.** საცოდავი! ან კი რა ჰქონდა ირაკლის დასაწუნი?!. (ამ დროს დინჯად შემოდის თევდორე, ხელში გვებერთელა ჯოხი უჭირავს. „ჟოკეის" უთმრალი ქუდი ხურავს. ხმაამოუღებლივ დინჯად მიდის ერთ ერთ კუთხეში, მიაყუდებს ჯოხს, დინჯად იხდის ქუდს, ზურგ შემოქცეული დინჯად ჰკეცავს, ჯიბეში ჩაიდებს, მობრუნდება და დინჯად იძლევა სალამს.)

III

**თევდორე** აქა მშვიდობა! გამარჯობა ამხანაგებს! სად არიან სხვები? (დინჯად მიდის ტახტთან და ჩამოჯდება...)

**ირაკლი** (ამ ხანში გამოერკვევა. თავშეკავებითა და ბუზღუნით) შენ თვითონ სად ხარ აქამდე? არა, ბიძია, ასე საქმე არ გაკეთდების! (საათს დახედავს) რვა საათია .. დამიხედეთ მინისტრებს!

**თევდორე** (დინჯად) შენ, მგონია, გუნებაზე არა ხარ, ამხანაგო! საჩქარო არაფერია, შევიკრიბებით, ერთ წამში გადავწყვეტთ საკითხს და დავიშლებით. ან კი რაღა გვაქვს გადასაწყვეტი? ფურცლები დარიგებულია, ამხანაგებმა უკვე იციან ჩვენი განზრახვა და ხვალ დილით გაჩაღდება ის საქმე, რომელიც გამარჯვებასა და სახელს მოგვანიჭებს.

**ნინო** (რწმენით) ოღონდაც!

**ქეთო** რასაკვირველია!

**ირაკლი** (ბუზღუნით) ერთი მყრალი კაცი სულ პირქვე დაამხობს ჩვენს საქმეს!

**ნინო** ასეთი კაცი ჯერ არ დაბადებულა!

**ქეთო** ღმერთმა ნუ მოასწროს ნურავინ ჩვენს დამარცხებას.

**თევდორე** (დინჯად) მაგას ყურს ნუ ათხოვებთ, ამხანაგებო. ირაკლი დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარა, მგონია (წყნარად იცინის)

**ირაკლი** თუ არ მოვკვდი, მე გაჩვენებთ თქვენ იმ კაცს. მე ვიცი, მე ვგრძნობ, რომ ჩვენს შორის ერთი იუდა ურევია!

**თევდორე** რა საქმე გააჭირე, შე კაცო! თუ მართლა იცი რამე, ბარემ სთქვი, თორემ როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი .. ეს ხომ დაცინვაა, მასხარად აგდებაა მთელის ამხანაგობისა. მე, ჩემო ამხანაგო, მიკიბვ-მოკიბვისა არა მწამს რა! მე ვიცი რომ შენ გულმოსული ხარ ლეონ ბერგზე, ყური მოვკარ აგრეთვე, რომ განოს ლეონისათვის მიუცია სიტყვა და — ... რომანიულის ენით რომა ვსთქვათ, (ღიმილით) შენი გული და ხელი უარ უყვია. შეიძლება ეს სამწუხაროც იყოს, მაგრამ ქალვაჟთა სიყვარული ნება-ყოფლობისა და კერძო საქმეა... ვისაც საქვეყნო საქმე სწამს და უყვარს, იმან პირადობაზე ხელი უნდა აიღოს და პირადი გაბოროტებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს.

**ირაკლი.** (ცოტა არ იყოს ნაწყენი) მადლობას მოგახსენებთ დარიგებისათვის... რასაკვირველია, ჩემი გული მხოლოდ ჩემია და ამიტომ ვერ უბრძანებ სხვასაც— ჩემებურად მომართე მეთქი შენი გულის თქმაც!... რაც შეეხება ჩემს ეჭვებს... ცოტა კიდევ მომითმინეთ და მაშინ გამამტყუნეთ!.. (თავისთვის) ოხ, ღმერთო, რა უბედური ვარ, რა უბედური!.. ან კი ვის რა ვუთხრა, რა შევასმინო?... (თმებში ხელს წაივლებს).

**თევდორე** კერძოობა საქვეყნო საქმეს უნდა ენაცვალოს—მეთქი! ამაშია გმირობა, მხოლოდ, ამაშია მსხვერპლის მოტანა. (ამ დროს შემოდიან: დადო, ბერგი, გარეგინა, არტემა და რამდენიმე მუშა (რაც ბევრი იქნება ის ჯობია, რასაკვირველია) საერთო სალამის შემდეგ სხდებიან ზოგი ტახტზე, ზოგი სკამებზე.)

(**ნინო** (აანთებს ლამფას, ფანჯრებს დახურავს, ფარდებს ჩამოაფარებს.) უხერხული სიჩუმე, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ დაარღვევს ისევ ბერგი.)

IV*)

**ლეონ ბერგი.** (ჯერ ხმა დაბლა, მერე კი თანდათან ხმას უმატებს) ამხანაგებო! ჩვენ მოვესწარით იმ ბედნიერ დღეს, როცა მშრომელმა ხალხმა შეიგნო თავისი მდგომარეობა, გაიგო თავისი ცხოვრების სიდუხჭირე და ახლა კი დროა გავუწიოთ ხელმძღვანელობა. ჩვენ ნუ შეგვაშინებს, ამხანაგებო, ის გარემოება რომ დღეს აქ შედარებით ძალზე ცოტანი ვართ. გვახსოვდესთ, რომ ჩვენს ზურგს უკან სდგას ასი და ათასი ჩვენზე უფრო მგძნობიარე, ჩვენზე უფრო თავდადებული მუშაკი... საჭიროა მხოლოდ მივცეთ მათ ნიშანი, ვუჩვენოთ მათ გზა და ხიდი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ამ ნიშნის მიცემა, ამ გზის სწავლება ბედმა ჩვენ გვარგუნა და ჩვენც მთელის ჩვენის არსებით უნდა ვეკვეთნეთ ყოველგვარ ბოროტებას! გთხოვთ ამხანაგებო, ამოირჩიოთ თავმჯდომარე, რომ უფრო დალაგებით გადავჭრათ სადღეისო საკითხები.

*) **შენიშვნა.** გუშინდელ ფელეტონში. მეორე მოქმედების მეთხზე გამოსვლის თავი და ბოლო ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ცოტა შეკვეცილია.

**ავტ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ შაბათს 17 დეკემბერს ქალაქის თეატრში ქართული დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მოქმ. დრამა „ყაჩაღები“ თარგ. ნ. ავალიშვილისა“.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება, სოფელ ტყაჩირში (ქუთაისის მაზრა) სახელწოდებით „საშუალება“.

✦ თბილისის მომხმარებელ საზოგადოების მდივანმა მერხელევმა თხოვნით მიმართა აგრონომ ვასილევსკის შეატყობინოს შესაძლებელია თუ არა ქუთ. გუბერნიაში დაფნის ფოთოლის და ხმელი თხილის შოვნა, რისაც დიდი მოთხოვნილება ყოფილა თბილისის კოოპერატივში. ამის გამო აგრონომმა წინადადებით მიმართა ქუთ. გუბერნიის სამაზრო აგრონომების დაუყონებლივ გამოუგზავნონ მას ცნობები ამის შესახებ.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე შენგელია თავისი თხოვნის თანახმად სამსახურიდან გადადგა, მის ადგილზე დაინიშნა ქუთაისის ქალაქის ექიმი თ-დი ლოთქიფანიძე.

✦ დასავლეთის საქართველოს მთავრობის აგრონომი ატყობინებს დასავლეთ საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებს და სხვადასხვა ამხანაგობებს რომ შუამდგომლობა, სამიწათმოქმედო დეპარტამენტიდან დახმარების შესახებ, უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ მის სახელზე.

✦ ს. მეჯვრის (ქობულეთი) სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა ერთ-დროული დახმარების შესახებ, სამიწათ-მოქმედო მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში არ შეიწყნარა.

✦ მასწავლებლების განთავისუფლება. სამხედრო, შინაურ საქმეთა და სახ. განათლების მინისტრების შეთანხმებით შესაძლებლად სცნეს გაანთავისუფლონ სამხედრო სამსახურიდან სახალხო სკოლის მასწავლებლები ლეიტენანტ-ბილეთიანები და სათადარიგო ჯარის კაცები, რომელთაც ავათმყოფობის გამო მიცემული ქონდათ შეღავათი.

✦ სოფელ ზომლეთიდან გვატყობინებენ რომ ადგ. მცხოვრებს მახარაძეს ცეცხლში დაწვია სამი დღის ბავშვი.

✦ როგორც გაზეთი „საქართველო“ გადმოგვცემს, სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შუამდგომლობა გერმანელთა სალიკვიდაციო მამულების შესყიდვის შესახებ — არ შეუწყნარებია. ქართველ თავად-აზნაურობას ამ მამულების დასანარჩუნებლად შესაფერი ლონე ულონია და ამბობენ შანსებიცა აქვს ამისთ

✦ ქალაქში თეთრი პური ყოფილა. 13 დეკემბერს მეთორნე სტეფანე მაჩაიძეს აღმოუჩინეს რამოდენიმე გირვანქა თეთრი პური მას „ვილაცეებისათვის“ შენახული ჰქონია, მისთვის უკითხავთ თუ ვისთვის უნდა პური, უპასუხებია, რომ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებისათვის მინდაო. გამოირკვა, რომ 21 პური ქალაქის მოსამსახურეთათვის ქონია შენახული. ხსენებული მეთორნე დააპატიმრეს. ქალაქში თეთრი პურის ფქვილი ყოფილა!

✦ ძველი დაგვრის ქუჩაზე, მელიტონ ჩეჩელაშვილის ეზოში შეპარულან ქურდები ღვინის მოსაპარავათ, მოუხდიათ ქვევრებისათვის, რომლებშიც წყალი ყოფილა და წაუღიათ რამოდენიმე ფუთი რიონის წყალი, ქურდები იმავე ღამეს შემძვრალან აგრეთვე აკაკი კუჭუხიძის მარანში ღვინის მოსაპარავათ, მაგრამ იქაც არ გამართლებიათ იმედი, იქ წყალიც ვერ მოუპარავთ.

✦ ქალაქის თვითმართველობის შენობაში, ორშაბათს 19 დეკემბერს დანიშნულია საბჭოს სხდომა სხვადასხვა საკითხების განსახილველად.

დაჭრილ დაავათმყოფებული ოფიცრები. უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი ოფიცრები: პრაპ. ივანე მოსეს ძე ჯორბენაძე და მ. ვ. სულხანიშვილი.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმათ 1917 წლის 1 იანვრიდან სხვადასხვა ადგილებში ფულის გადასაგზავნი ფასი შემცირებული იქნება დაწყებული 1 მ.-დან 25 მ.-დე ეღირება 10 კაპ., 25-100 მ.-20 კაპ., ას მანეთს ზევით ყოველი ასი მანეთი 20 კაპ.

✦ მომხმარებელმა საზოგადოებამ „მთამავალმა“ უკვე მიიღო ერბო საუკეთესო ხარისხისა. ამ დღეებში იგივე საზოგადოება მიიღებს შაქს, საპონს და სხვადასხვა სანოვაგეს.

**გუბერნატ. კანცელარიის ცნობები.**

თავდასხმა. ქუთ. მაზრა. სოფ. ვანის მცხოვრებს ლარიონტი მეგუჩაძეს, რომელიც ქუთაისიდან სახლში ბრუნდებოდა მდინარე რიონის პირათ დახვდენ 4 შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველები წაართვეს მას ცხენი, 84 მანეთი ფული და 64 მანეთის სხვა და სხვა გვარი ნივთები. როგორც გამოძიებიდან სჩანს თავდამსხმელები არიან: დ. ზუგდიდის მცხოვრებნი ბეგია და დათა დარასელები, ხსენებული პირები პოლიციამ დააპატიმრა და გადასცა სასამართლოს.

— სოფელ თამაკონში (სენ. მაზრა) შემდეგი ამბავი მომხდარა. ადგ. მცხოვრებ. თედორე ჯანჯღავასათვის შვილი მოუნათლავს სოფლის დარაჯს, ნესტორ კუციას, კუცია ამ დამოყვრების შემდეგ ხშირი სტუმარი გამხდარა ჯანჯღავას ოჯახის, სხვათა შორის მოყვრობას ისე რთული ხასიათი მიუღია, რომ ახალ მოყვარეს თვით ნათლულის დედა შეჰყვარებია. ერთ საღამოს, ღამის გასათევად სტუმრებია ჯაჯღავას ახალი მოყვარე. მასპინძელი მას ჩვეულებრივი სტუმართ მოყვარეობით მიჰგებებია და მიუჩნევია მისთვის ღამის გასათევი ბინა ცალკე ოთახში. ამ დროს მასპინძლის ცოლი შებრძანებულა სტუმრის ოთახში „დროს გასატარებლად“ სადაც მიუსწრია ქმარს და თოფი დაუხლია სტუმრისათვის, რომელიც სასიკვდილოთ დაჭრილა, „ერთგულ“ ცოლს კი გაუსწრია გაქცევა.

## კავკასიის ქრონიკა.

— **ბაქო**. ქალაქთა კავშირის ბაქოს კომიტეტი დიდ გასაჭირს განიცდის თურმე ხარჯების გასაძღოლათ საჭირო თანხის უქონლობის გამო.

— **ყარსი**. სადგურ კალაგერანიდან მიმავალი საქონლის მატარებელი დაეჯახა მომავალ საქონლის მატარებელს, რადგან ორივე ერთ ლიანდაგზე გაეშვათ. დაიმსხვრა ორი ორთქმავალი და რვა ვაგონი. მძიმედ დაშავდნენ მემანქანენი და რამდენიმე კონდუკტორი.

— **სოხუმის** ბუნება მეტად ლამაზია, ადგილ მდებარეობა საუცხოვოა, თვალწარმტაცია, ქალაქი ევროპიულ სახისაა, მაგრამ რამდენად მას საქებური და სატრფიალო მხარე აქვს, იმდენი დასაგმობი და არა სასურველიც. დღეს ქალაქი მეტად საზარელ სურათს წარმოადგენს: ქუჩა მუდამ ტალახით სავსეა, თვით ცენტრში ქუჩებში ყრია მკვდარი კატები, თაგვები, სხვადასხვა მძოვრი, და ყოველგვარი სიბინძურე, ყველგან შმორის სული დგას, დაბპალ-დაგუბებული წყალი არ იძვრება ახლა აილეთ ვაჭრები, მათ თავგასულობას საზღვარი არა აქვს. დიდი სიძვირეა, ხალხს ტყავი ძვრება. რა ხდება ძნელი წარმოსადგენია. ქალაქის „მამები“ სრულიად არ ზრუნავენ. ბუნებით შემკულ ქვეყანაში არავითარი წესიერი ორგანიზაცია არ არსებობს

— **თელავი**. კახეთის წვ. კრედიტთა კავშირის გამგეობის წევრი ბ-ნი დ. ქადაგიძე, რომელიც გამგეობის თავმჯდომარესთან ლუკაშვილთან ერთად იყო წასული ყუბანის ოლქში სასურსათო საქმეზე, უკვე ჩამოვიდა. მათ ვერც ერთი ტომარა ფქვილი, ან ხორბალი, ვერ უყიდნიათ. მტკიცე ფასების გამო ყველას მიუმალავთ, ხოლო ზედმეტის მიცემა ვერ გაუბედიათ, რადგანაც ძლიერ საშიში და სახიფათო ყოფილა. მთელი კახეთი დიდ გაჭირვებას განიცდის ყველა სოფელს პური ეხლავე აკლია. მერმისში უარესობას მოელიან. მინდვრები მოუხვნელ-დაუთესავი დარჩა და ვისაც ცოტა მაინც მოუხნავს, იმას დასათესი პური არა აქვს.

**სამტრედია**. სამტრედია ხონის შუა მიმავალი შარა გზა საერობო ხარჯით კეთდება ხოლმე, მაგრამ მის გაკეთებას დასასრული არ ეძლევა, რის გამო ამ გზაზე მიმოსვლა მეტად ძნელი შეიქმნა.

# გველი.

გველსა ვხედავ... მაზრიალებს!
რა უშნოა,—სიზიზღარი!
შეხე, როგორ იკლანკება,
თითქოს რიდობს, მორცხვად არი.
თვალები?-ოჰ, ცბიერებავ!
რა ძნელია მათი მზერა, —
ამირია, ჰკვა გონება
ფიქრთა დენა შემიჩერა.
ენას, შეხე, ნემსის ენას,
როგორ მარდად ასისინებს,
თითქოს მჯევრობს, ალერსს აქსოვს,
მაგრამ არა, კარგა მახსოვს,
რომ გველი ხარ... გველი... გველი...
მკბენარი და მომწამლველი.
ვაჲ, გაიქცა.. ტყისკენ მარბის..
ჩქარა ბელტი... ქვები... ჯოხი...
ერთი... ორი... სამი... ოთხი...
ესეც... ესეც... აჰა, მოხვდა!
გადიზნიქა... თითქოს მოკვდა,
მაგრამ ვერა მატყუარავ,
ვერას გარგებს თვალთმაქცობა!..
ესეც თავში... სუ, გაინძრა...
გეყო ეგზომ თავხედობა!
მოდი, მისი გვამი ჭრელი
გზა ჯვარედინს გადავკიდო,
რომ ყოველი იქ გამვლელი
აფურთხებდეს და ამბობდეს:
—მოკლეს, რადგან იყო გველი!

——

ოხ, ნეტავი, მოვა ის დრო,
როს არ იყოს ქვეყნად გველი,
და უშიშრად დადიოდეს
მგზავრი თუნდა ფეხშიშველი?!...

რაჟდ. გოგოხია.

# მტკივა გული.

მტივა გული სევდით კრული,
ობლათ შთენილი,
არვინ მივის თანამგრძნობი,
ვარ მოწყენილი.
ტანჯვა, ოხვრა, სულის ქენჯნა
შემომერია;
არ მშორდება კაეშანი,—
ჩემი მტერია.
სუსხი მეფობს, ბულბული სდუმს,
დამჭკნარა მდელო;
თავის შვილებს, მთის არწივებს
ჰგლოვს საქართველო.
ჩემი გულიც ბოლმით სავსე,
დნება და ჰკნება;
ტანჯვა, ოხვრა, სევდა, გლოვა
მით მემატება.

საშა ცრემლიანი.

**არტემა** შენზე უკეთესი თავმჯდომარე ვილა იქნება, ამხანაგო ბერგ! გთხოვთ იკისროთ კრების ხელმძღვანელობა.

**ხმები** გთხოვთ... გთხოვთ!

**სხვა ხმები** ამხანაგი ლადო!

**კიდევ სხვა ხმები** ამხანაგი თევდორე!

**ლადო** ტყვილათ დროს ნუ ვკარგავთ. ბერგი ჩინებული თავმჯდომარეა, მე კი... მიმსახურეთ ხვალ, ზეგ! პირველი მე გამოვალ დროშით ხელში!...

**თევდორე** (დინჯად) ამხანაგო ბერგ! განაგრძეთ..

**ხმები** ლეონ ბერგ! ამხანაგო ბერგ! განაგრძეთ.

**ლ. ბერგი** (მცირე ყოყმანის შემდეგ, იჭერს თავმჯდომარის ადგილს, სტოლის თავში. **ირაკლი** ქვეშ-ქვეშ უბდვერის. დანარჩენები სულ განაბულნი უცდიან თავმჯდომარის პირველ სიტყვას. ბერგი წამოდგება, ლამაზ ქოჩორს შეიბერტყეს და მომხიბლავის ხმის თამაშით დაიწყებს) მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგებო, იმ ნდობისთვის, რომელიც მე თქვენ გამომიცხადეთ! მერწმუნეთ, ამხანაგებო, არც ერთის სიტყვით, არც ერთის ამოსუნთქვით არ ვუღალატებ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც ხალხის წინამძღოლობა, ხალხის გამოფხიზლება ჰქვიან! მთელი ძლევამოსილება ჩვენის მოძღვრებისა, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ამხანაგებო, გამოიხატება სულ რამდენიმე სიტყვაში და ეს ჯადოსნური, სასწაულთ-მომქმედი სიტყვებია: მაშვრალნო მთელის ქვეყნისა შეერთდით, იცანით თქვენი თავი, მიეცით მხარი მხარს, ხელი ხელს და შექმენით ისეთი პირობები ცხოვრებისა, რომ აღარ იყოს ქვეყნად მძარცველი და მჩაგვრელი, აღარ იყოს ბატონი და ყმა, აღარ იყოს მდიდარი და ღარიბი, არამედ დამყარდეს ქვეყნად ძმობა, ერთობა და თავისუფლება!

**ერთი ხმა.** (აღტაცებით) შენი ჭირიმე, რა კარგი დრო იქნება?!

**სხვა ხმები** ტსსს! ნუ უშლით ლაპარაკს.

**ლეონ ბერგი** (გადახედავს წესიერების დამრღვეველთ, გაიღიმებს და განაგრძობს.) ჯერ სულ პაწია ბავშვი ვიყავ, როდესაც პირველად შევიგნე, შევიმცნე... არა! როდესაც პირველად ვიგრძენ ამ მოძღვრების სიდიადე და იმ დღეს აქეთია ჩემთვის არ არსებობს არც დედა, არც მამა, არც ნათესავები, არც თვისი და არც ტომი!...

**ხმა ერთისა.** ვაშა! ვაშა!

**სხვა ხმები** ს ს. ს.!.

**ლეონ ბერგი** (კვლავ გადახედავს ამხანაგებს) ჩემი დედაც, ჩემი მამაც, ჩემი ერიც მხოლოდ მშრომელი ხალხია ... ამ ხალხს ვანაცვალე თვით მამაპაპათა რჯული და აღვიარე რა ქრისტიანობა, — ეს უძღრესი მოძღვრება ძმობა-ერთობისა, მით ვეზიარე მსოფლიო სამართლიანობის უპირატესობას. და თქვენც, ამხანაგებო, უნდა განიწმინდოთ ყოველგვარ შენ-ჩემობისაგან...

**ხმები** ახლა ჰკითხეთ ზოგიერთ შოვინისტს. . ბურჟუას... ნაციონალისტს.

**სხვა ხმები** ჩუმათ! რა უბედურებაა .. გაგვაგებინეთ რამე!

**თევდორე** (დინჯად) ამხანაგებო, კერძო ლაპარაკის დრო არ არის!

**ლეონ ბერგი** (თითქმის იმათ საპასუხოთ, ვინც სხვა ჯურის ხალხი ახსენა) არ არის ქვეყნად, ამხანაგებო, ნაცია, არ არის ებრაელი, ქართველი, რუსი, სომეხი, არის მხოლოდ კაცობრიობა, უმაღლესის იდეალით აღჭურვილი, უზენაესის სამართლიანობით გამსჭვალული! ხვალიდგან იწყება, ამხანაგებო, გაფიცვა ადგილობრივ ქარხანა-ფაბრიკებში და ეს იქნება არა მარტო პირველი იერიში ადგილობრივ ბოროტების დასანგრევად, არამედ ეს იქნება პირველი ხმა .. პირველი ჩვენი ცდა მსოფლიო პროლეტარიატთან დასაახლოვებლად, დასაძმობილებლად. ხვალიდან მთელი სამყაროს მშრომელებს ეცოდინებათ, რომ ჩვენც მათთან ვართ და მათი სიხარულის საერთო ყიჟინა ერთხელ კიდევ დასცემს თავზარს ძლიერთა და უსამართლოებს ამა ქვეყნისათა! მაშ, გამარჯვება თქვენ და გამარჯვება თქვენს საქმეს!...

**ხმები** (აღტაცებით) გამარჯვებულნიც ვყოფილვართ! (ტაში ბერგს).

**კიდევ ხმები** გაუმარჯოს ჩვენს საქმეს! ძირს ბოროტება და უსამართლობა!

**ერთი მუშათაგანი**. ამხანაგო, თავმჯდომარე! ნება მიბოძე ორიოდე სიტყვისა.

**ლადო** მეც!

**თევდორე** მეც!

**ირაკლი** მეც!

**კიდევ ორი სამი ხმა** მეც! მეც! მეც! (თავჯდომარე ინიშნავს ქაღალდზე).

**ლ. ბერგი** (პირველ მუშას) სიტყვა თქვენია, ამხანაგო!

**მუშა** (წამოდგება, ჩაახველებს, გაუბედავად) ამხანაგმა თავმჯდომარემ დიდებულათ დაასურათა როგორც მნიშვნელობა ჩვენის მოძღვრებისა, ისე მნიშვნელობა ჩვენის გამოსვლისა და მუშაობისა. მე ერთი უბირი, უსწავლელი კაცი გახლავართ, ამხანაგებო, მაგრამ ნათლად კი ვგრძნობ, რომ ტანჯვაში ცხოვრება აუტანელია. გაგვიძეხით წინ, ამხანაგებო, და შერცხვეს ის ვაჟკაცი, ვინც არ მოგყვეთ. დიახ, ამხანაგებო, დრო არის ჩვენც თვალები გავახილოთ და მოვითხოვოთ ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის. თუ აქამდე ჯურღმულში ვიყავით, თუ აქამდე ყველა გვიბრიყვებდა, ახლა ჩვენც გვინდა მზეზე ამოსვლა და ამიტომ ერთხმად შევძახოთ ჩვენს დამჩაგვრელებს: გეყოთ, გეყოთ ამდენი ბატონობა, დღიურ მუშებს ჩვენც სიცოცხლე გვწყურიათქო! (ჯდება).

**ხმები**. ვაშა, ვაშა ამხანაგო!

**ლ. ბერგი** სიტყა თქვენ გეკუთნით, ამხანაგო ლადო.

**ლადო**. (დგება გულხელ დაიკრებს) (პაუზა) (ყველანი სიამოვნებით შეჰყურებენ). წარმოიდგინეთ ამხანაგებო შემოდგომის შავბნელი ღამე, როდესაც ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ მოსჩანს ხოლმე და სასტიკი მძაფრი ქარი საცოდავად აკვნესებს გაშიშვლებულ ხეებს! საზარელია ასეთი ღამეები, გულსაკლავია ჟრუანტელი სიბნელე! სასოწარკვეთილება იპყრობს ამ დროს ადამიანს და გონება მისი ამაოდ ეძებს ხსნას და შველას!..

**ყარდაშიანი**. ნამდვილი პოეტია! ვაშა ლადოს!..

**არტიმა** ლიახვის ხეობელი არის თავი რომ მოგაქვს?

**სხვა ხმები**. იყუჩეთ! სსუუ!...

**ლადო**. სწორედ ასეთს უმწეო მდგომარეობაში გიყავი მეც იმ დრომდე, ვიდრე ბევრის ფიქრისა და ძიების შემდეგ არ მივაგენ იმ ნავსაყუდარს, რომელსაც ჰქვიან ამხანაგობა, ძმობა და ერთობა.

**ყარდაშიანი**. გაუმარჯოს ძმობა-ერთობას!

**სხვა ხმები**. ტსსს! ნუ უშლით!...

**ლადო**. (განაგრძობს)... უცბათ ცა გამეხსნა, თვალები ამეხილა და დავინახე რომ მარტო მე არ შემომკვნესოდა გული, მარტო მე არ ვიყავ ძიებაში, მარტო ჩემი ხვედრი არა ყოფილა სევდა და ვარამი! ასევე ჰკვნესოდა და იტანჯებოდა თურმე მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი იმ აუტანელ სიმძიმის ქვეშ რომელიც შეუქმნია ცხოვრების უკუღმართობას, ცხოვრების მოუწყობლობას!

**ყარდაშიანი**. ძირს უსამართლობა! გაუმარჯოს ცხოვრების მოწყობას!

**ხმები**. ამინ! აგრე იყოს! სსს! ჩუმათ!

**ლეონ ბერგი**. ამხანაგო გარეგინ და თქვენც (გადახედავს მუშებს) გთხოვთ მოით მინოთ. (იღიმება).

**ლადო**. (სიტყვას ამოკლებს) სიტყვას აღარ გავაგძელებ ამხანაგებო და მხოლოდ ვიკითხავ: რა მოსპობს ცხოვრების იმ სივაგლახეს, რომელსაც ყველანი განვიცდით? მას მოსპობს მხოლოდ ერთობა და ამ ერთობის ძალით დამყარებული სამართლიანობა. აი, ამხანაგებო ის ლამპარი, ის მზე რომელიც გაანათებს, რომელიც გაათბობს შემოდგომის ბნელ ღამეებს, გაალხობს გაყინულ გულს ვერაგებისას, დაანგრევს უსწორ-მასწორობას ქონებრივსა თუ გონებრივს და თითოეულ ადამიანს ადამიანურ უფლებას მიანიჭებს. ხვალინდელი დღე ამხანაგებო, პირველი სხივი იქნება ამ ამომავალი მზისა... შეიძლება ეს სხივი ერთხელ კიდევ დაჭფროს შავმა ღრუბელმა, შეიძლება ეს სხივი ერთხელ კიდევ ჩაჰკლან, ჩაარჩონ სისხლის მორევში, - დაე, თუნდა მე ვიყო პირველი მსხვერპლი ძალის მქონებელთა მაგრამ გრწამდეთ ამხანაგებო, რომ პირველ სხივს მოჰყვება მეორე, მეორეს მესამე და, ბოლოს, მაინც ამოვა ის მზე, რომელიც ამოაშრობს ცხოვრების ჭაობს და რომელიც შარავანდედით შემოსავს მებრძოლთა სახელებს!... მე გავათავე!...

**ხმები**. ვაშა! ვაშა შენ სიტყვას და შენს სურვილს, ამხანაგო ლადო

**კიდევ ხმები**. გაგვიძეღ წინ... ჩვენც შენთანა ვართ! (საერთო ტაში).

**ლ. ბერგი.** სიტყვა თქვენია ამხანაგო თევდორე!

**თევდორე**. (დინჯად წამოდგება, ღიმილით). რასაც მე ვფიქრობდი და ვგრძნობდი აქ ყველაფერი გამოითქვა. სიტყვაზე უარს ვამბობ, მხოლოდ გთხოვთ მიგულოთ თქვენ ერთგულ თანამებრძოლად (დინჯად ჯდება)

**თითქმის ყველანი**. ვაშა! ვაშა. (ტაში, საერთო სიცილი).

**ლეონ ბერგი**. ამ გვარად, ამხანაგებო...

**ირაკლი**. (ამრეზით) მეც ვითხოვე სიტყვა და მიკვირს, რატომ არ მაძლევენ?

**ხმები**. მართალია, სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ირაკლის.

**ბერგი**. მე მგონია, ამხანაგებო, საკითხი უკვე გამოირკვა ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ ხვალინდელ გამოსვლის წეს-რიგზე...

**ირაკლი**. (აწყვეტინებს) არაფერიც არ არის გამორკვეული. მომეცით სიტყვა.

**ხმები**. მიეცით სიტყვა!

**კიდევ ხმები**. სიტყვა არაკლისაა! მიეცით სიტყვა .. სიტყვა!

**ბერგი**. (წარბ შეკვრით, ძალა-უნებურად). ბრძანოს!

# პროვინციის ცხოვრება.

**ქართლი.** ჭირნახულის და სხვა სანოვაგის ფასები თანდათან მატულობს. ჭურის ფქვილი ადგილობრივ ფასობს 6 მანეთი, სიმინდი — 3 მანეთი, კვერცხი თითო 7 კაპ.

— **დ. სურამი.** სურამის საზოგადოების მამასახლისმა ხელით შეურაცყოფა მიაყენა სურამის საერობო დარაჯს. იგი მამასახლისობიდან გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს.

— **დ. ხაშური.** 3 დეკემბერს რკინის გზის საკრებულო დარბაზში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილების გამგეობამ გამართა ფრიად შინაარსიანი საღამო ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის აღსანიშნავად. ხალხი ბლომად დაესწრო. მოხსენება წაიკითხა კ. ნიხიძემ. წაკითხული იქმნა ბარათაშვილის ლექსები. წარმოადგინეს უკანასკნელი სურათი „თამარ ბატონიშვილიდან."

— **დელიჟანი** (განჯის გუბერ.) ეს დაბა სომეხთა დაბაა; ვაჭრობა და მრეწველობაც სომეხთა ხელშია. აქ არსებობს კოოპერატიული სავაჭრო, რომლის საშუალებით სადასარ მოკლებულნი ყოველსავე სანოვაგეს ხელმისაწვდომ ფასებში იძენდენ. ადგილობრივი ვაჭრები ამ კოოპერატიულ სავაჭროს მუდამ ზიზღის თვალით უცქერდენ. ამ დღეებში ხსენებული კოოპერატიული სავაჭრო ვიღაცა ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს და ერთიანად გასცალეს. როგორც ამბობენ, ეს საზიზღარი საქმე ადგილობრივმა ვაჭრებმა მოაწყესო. ამ მხარეში თავისუფლად თარეშობენ დეზერტირი ჯარისკაცები. დღე ისე არ გავა, რომ ვინმე არ გაძარცონ, ან კიდევ არ იმსხვერპლონ.

— **ხიდისთავი** (გურია) 5 დეკემბერს ოზურგეთიდან მოვიდა ოზურგეთის ფოსტის უფროსი ბ-ნ ვოლკოვი, რომელმაც დაათვალიერა შენობა, სადაც ხიდისთავის ფოსტა უნდა მოთავსდეს. უფროსმა შენობა მოიწონა და შესაფერი ოქმი შეადგინა. ამ რიგად სრული იმედია ფოსტა პირველ იანვრიდან დაიწყებს მოქმედებას.

**სოფ. კონჭკათი.** (გურია) ამ დღეებში მოხდა მეტად თავხედური ძარცვა. ადგილობრივ ვაჭარს ნოე ტუღუშს დამის რაინდებმანაძირალებმა მთლად გაუცარიელეს სავაჭრო და საწვრილმანო დუქანი. ამ თავხედურმა ქურდობამ ყველა აადელვა. მცხოვრებლებმა მაშინვე ზომები მიიღეს და ერთ პირზე გუმანიც მიიტანეს. დაჭერილი ჯარ გამოტყდა, მაგრამ ნაქურდალი ფართლეულობის ნაწილი აღმოაჩინეს კინტრიშის საბოქაულოში.

**სოფ. ურიათუბანი** (კახეთი) აქაური საზოგადოება მომრიგებელ შუამავლის საშუალებით დეპეშით შუამდგომლობს ბ. თფილისის გუბერნატორის წინაშე რამდენიმე ვაგონი ფქვილის მოწოდებას, რადგანაც სოფელში ბევრი გამოილია და მცხოვრები შიმშილს განიცდიან.

**სოფ. ძიმითი.** 3 დეკემბერს მოხდა ერილობა ძიმითის საზოგადოებისა შესახებ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის დაარსებისა ძიმითში (გურია) ხალხი ერთსულოვნად შეხვდა ფრიად სიმპატიურ საქმის შესახებ მოხსენებას და ერთხმად გამოიტანეს განაჩენი შუამდგომლობაზე სადაც ჯერ არს.

# რუსეთი

თ-დ ვასილჩიკოვის მეუღლის მაგალითს სხვა არისტოკრატ ქალებმაც მიჰბაძეს და ეგრედ წოდებულ „ბნელი ძალების" მამხილებელ წერილებს აქვეყნებენ. ისე, მაგალითად გრაფინია იგნატიევისას დაუწყვია საყურადღებო ცნობების ბეჭვდა, მაგრამ იგი სატახტო ქალაქიდან გაუძევებიათ

— მოსკოვის საგუბერნიო ერობის კრებაზედ ორჯერ გამოცხადებულა პოლიცა და თავმჯდომარეს შეჰკითხებიან, ეს რა ყრილობა არისო.

— მოსკოვის სანიტარულ სამზრუნველოს ერთკრებას ბოქაული დაესწრო

— ტეხნიკურ საზოგადოების კრებაზე მოსულა ბოქაულის თანაშემწე და განუცხადებია. კრებას უნდა დავესწროვო. თავმჯდომარე არ დასთანხმებია და კრება დაუხურავს.

— მოსკოვში კრების მოწვევის ნება არ მიუციათ „ბავშვთა სიკვდილთან მებრძოლ", „საპოლიტეხნიკო" და „ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა" საზოგადოებათათვის.

— პროტოპოპოვს მოსკოვის პოლიციის მოქმედება მოსწონებია და უბრძანებია, რომ შემდეგშიაც არ იქნეს ნება დართული სხვადასხვა კრებები და ყრილობები.

— ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში მოყვანილი გვქონდა იმ წერილის შინაარსი, რომელიც გრ. ბობრინსკიმ პროტოპოპოვს გაუგზავნა; წერილი საკმაოდ მკვახე, მაგრამ საბუთიანი იყო. როგორც ეხლა იტყობინებიან ამ წერილს პროტოპოპოვი დაუკმაყოფილებია და ამით ინციდენტიც მოსპობილა.

— უწმინდესს სინოდს განკარგულება გაუცია, რომ შობის პირველ დღეს 1812 წელს გალლთაგან გადარჩენის პარაკლისის მაგივრად, გადაიხადონ პარაკლისი რუსისა და მოკავშირე ჯარის გამარჯვებისათვის.

— სახელმწიფო სათათბიროს სესიის შეწყვეტის დროს მთავრობას მე 87 მუხლის ძალით ცხოვრებაში გატარებულ კანონ-პროექტთაგან 60 განხორციელება სათათბიროს დაუკითხავად, ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება.

# უცხოეთი.

ჩეხიის ეროვნულ მოძრაობის მეთაურებს კრამარჟს და სხვებს სიკვდილით დასჯა კატორღით შეუცვალეს; კრამარჟს 15 წლით, ხოლო დანარჩენებს 8—10 წლამდე.

— სტოკჰოლმიდან ეტყობინებიან, რომ ბერლინში შვეციის 20 ქვეშევრდომი უმიზეზოდ დაუტუსაღებიათ. შვეციის მთავრობას განმარტება მოუთხოვია.

— გერსელტში 20 ბელგიელს, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებოდათ, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, 25-ს კატორღა გერმანეთის სამხედრო სასამართლო მოკლე ხანში გაარჩევს 192 ბელგიელთა საქმეს, რომელთაც ჰბრალდებათ სახელმწიფო ღალატი და ჯაშუშობა.

# ვაჭრობა მრეწველობა

„წყალზე მიმოსვლის და მახმარე საიმპერატორო საზოგადოებამ" რამდენიმე სპეციალურ საზოგადო ორგანიზაციას დაპირს გაუგზავნა ბარათი, რომლითაც იწვევენ მათ ხსენებულ საზოგადოების მიერ განზრახულ ყრილობაზე. მომავალ წლის იანვრის პირველ დღეებში გაიხსნება კრება ამ ყრილობისა და განახილივის რამდენიმე საყურადღებო საკითხს: რუსეთის სავაჭრო ფლოტის გაძლიერება, ზოგიერთ მდინარეების გაღრმავება და გაფართოვება მათზე გემთა მიმოსვლის დასაწყებათ. სხვათა შორის ყურადღება მიექცევა ამიერ კავკასიის მდინარეებს და განიხილვენ იმ ზომებს, რომლებიც უნდა მიიღონ მტკვრისა, არეზისა და რიონის გასაფართოებლად და მათი კალაპოტების გასაწმენდანათ.

— ბოლოდროს მთელ რუსეთში საპნის წარმოება ერთობ შემცირდა და მცხოვრებნი ამ მხრით დიდ გაჭირვებას განიცდიან. კრიზისის მიზეზი იყო ლორის ქონის უქონლობა როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან იქაურ საპნის მრეწველების თხოვნით მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ლორის ქონი დაუთმონ იმ საპნის ქარხნებს, რომლებიც სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციებს აწვდიან აპონს. მექარხნეების გამოანგარიშებით მოსკოვის მრეწველებს დასჭირდებათ თვიურად 1 ვაგონი ლორის ქონი.

— ომიანობის დროს მოლოდინის წინააღმდეგ რუსეთში მრეწველობა განვითარდა, რადგანაც გერმანიიდან მზა მზარეული საქონლის შემოტანის შეწყვეტამ რუსეთის შინაურ ბაზრის მოთხოვნილება გაადიდა; რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, ამიტომ რუსეთშივედაიწყეს საჭირო საგნებისა და საქონლის დამუშავება. ამ მიზნით გაიხსნა რამდენიმე ახალი ქარხნები, დაარსდა მრავალი სააქციონერო საზოგადოება და ძველმა მრეწველებმა კი საქმე გააფართოვეს. ასე მაგალითად „სიუ და ამხ—ის შოკოლადის ქარხანას ძირითადი თანხა მომავალ წლიდან 3 მილიონიდან $4^1/_2$ მილიონ მანეთამდე აუყვანია.

— ამავე ფირმას 300 ათასი მანეთი გადაუდვია ომში დაზარალებულთა სასარგებლოდ განსაკუთრებულ ფონდისათვის. ამ ფულის სარგებელს დაურიგებენ ომში დაზარალებულთა ოჯახებს.

— ერთ ნორვეგიულ ნავოსანს სულ რამდონიმე თვის განმავლობაში შეუსყიდია რუსეთის ოთხი სანავოსნო საზოგადოებათა აქციები და ეხლა იგია ამ საზოგადოებათა ბატონ-პატრონი. რუსეთის სამრეწველო წრეები აღშფოთებულნი არიან ძალიან ამ საქმით.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



## რკინის გზის მატარებელი
(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

—— საღი კუჭი ——

**ჟელაგარი** ექ. ვეზისა

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ანთების, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ანთება წვართა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორიისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ანთების წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალსაჩინო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ანთებას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უღებობას და აწევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ანთებისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. პ. შავიშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)

---

**ირაკლი.** (ადგება გაჯავრებული, არავის არ უყურებს).

**ამხანაგებო!** ლამაზ-ლამაზი სიტყვებითა და ლაპარაკით საქმე არასოდეს არ გაკეთებულა. ვეთაყვანები რა საქვეყნო, საძმო საქმეს, არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ სწორედ ამ ლამაზი სიტყვების მეოხებით ჩვენს წრეში, ჩვენს ჯგუფში ბევრი ცხვრის-ტყავიანი მგელი შემოგვეპარება ხოლმე და ამიტომ ჩვენ დიდი სიბრთხილე გვმართებს!

**თევდორე.** (ლადოს, უკმაყოფილოთ) აი ახლა კი დაიწყო!

**ლადო.** დაე სთქვას, რაც სათქმელი აქვს!

**ხმები.** ნუ აწყვეტინებთ! ტსსს! ჩუმათ!

**ირაკლი.** (ყურადღებას არ აქცევს ამ შენიშვნებს) ხვალინდელი და შემდეგი გამარჯვებანიც, დამოკიდებულია, ამხანაგებო, იმაზე, თუ რამდენად ერთგულნი და თავდადებულნი ვიქნებით ჩვენის რწმენისა და იდეალისა. როგორც ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისე ჩვენი ერთი და ორი გამოსვლა ვერ გააბრწყინებს იმ მზეს, რომლის შესახებაც ასე ლამაზად ილაპარაკა ამხანაგმა ლადომ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ამხანგებო რომ საუკუნოებით შექმნილი ვერაგობა საუკუნოებითვე" ინგრევა, ხოლო თუ ჩვენ, გვსურს საქმის დაჩქარება,-ვიმეორებ, პირველ ყოვლისა უნდა გავწმინდოთ ჩვენი ჯგუფი მგელკაცებისა და ისეთ პირათგან, რომლებიც ხელთათმანებივით იცვლიან რწმენასა და შეხედულებას,..

**თევდორე** (თავისთვის) კიდევ! სწორედ შეიშალა ეს კაცი ამ საკითხზე!

**ლადო.** მოვუთმინოთ .. იქნება დაასახელოს ვინმე!

**ირაკლი.** (გადახედავს კრებას) მე ვამბობ: ფრთხილად უნდა ვიყოთ მეთქი! თუ კი თურმეტ მოციქულში ერთი იუდა გამოერია, რა საკვირველია რომ ჩვენ ფართე ჯგუფში ათი და ოცი მოღალატე შემოპარულიყოს.. მე ვგრძნობ .. არა! მე ორმათა ვარ დარწმუნებული, რომ ის ადამიანი, რომელიც დაივიწყებს თავის დედას, მამას, ძმას, დას, ერს, თვისსა დატომს, ის კაცი რომელიც დაჰგმობს მამაპაპათა რჯულს, ახალ რჯულსაც მალე გაექცევა და ხელში შეგვრჩება მხოლოდ თვალთ მაქცობა. წელან თავმჯდომარემა ბრძანა: არამც თუ დავივიწყე დედა-მამა, მოვინათლე კიდეცაო .. ასეთი კაცი ქრისტიანობასაც მალე შესცვლის მაჰმადიანობაზე და ასე ამ გვარად...

**ლეონ ბერგი.** (გაცეცხლებული, აწყვეტინებს) მე სიტყვას გართმევთ! ამხანაგებო, დამიფარეთ შეურაცყოფისაგან (ჩოჩქოლი ჩამოვარდება ზოგი განცვიფრებულია ზოგი აღშფოთებული ქალები ხელების ქნევით რაღაცას დაობენ.

**ირაკლი.** (ხმას იმაღლებს) დიახ! მე ვამტკიცებ, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა ჩვენი ჯგუფის გაწმენდა!

**ლადო** (ირაკლის მივარდება) ხომ არ გაგიჟდი, კაცო!

**ბერგი.** (ყვირის) მე არ გაძლევთ სიტყვის ნებას. ამხანაგებო, ეს რა ამბავია?!.

**ირაკლი.** ის იმბავია, რომ მე შენი არა მწამს რა, ბატონო ბერგ! მე ვგრძნობ. მე ვიცი, რომ შენ წმინდა წყალისა არ უნდა იყო. მე დაგინახე ჟანდარმებთან.. შენ უნდა ყოფილიყავ!... შენ... შენ ღუპავ ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს .. (დიდი ჩოჩქოლია).

**ლ. ბერგი** არამზადავ, გაჩუმდი თორემ ახლავე გაგათავებ! (ჯიბისკენ ხელს წაიღებს რევოლვერის ამოსაღებათ).

**ირაკლი** ვის გაათავებ?! (მიიწევს დასარტყმელად). (ასტყდება ერთი ვაი უშველებელი, თედორე და ლადო შუაში ჩავარდებიან, ქალები წივილ-კივილს დაიწყებენ ზოგი ბერგს იკავებს, ზოგი ირაკლის. ბოლოს ირაკლი გარეთ გაჰყავთ).

**ირაკლი.** (კარებიდან) კიდევ შევხვდებით ერმანეთს, ბატონო ბერგ!

**ლეონ ბერგი.** დაიკარგე აქედან, სალახანავ! (ირაკლი ისევ მიიწმოიწევს. ბოლოს ლადოსა და თევდორეს ხვეწნით ირაკლი მიდის. კრება ნელ-ნელა მშვიდდება, თუმცა ლაპარაკს ვეღარ ახერხებენ, ჯგუფ-ჯგუფად იყოფიან. ბერგი შეურაცხყოფილად სთვლის თავის თავს, შფოთავს, ბორგავს.)

V

**ყარდაშიანი.** (ქეთოს) ეს რა ხათაა! წავიდეთ აქედან. აქ ხეირი აღარ იქნება.

**ქეთო.** მოიცა ცოტა კიდევ. . კრება დამთავრდეს.

**ყარდაშიანი.** ვა! თამთავრებული კი არა, გადამთავრებულიც არის, წავიდეთ; რაღა!

**ქეთო.** მე ჯერ არ წამოვალ.

**ყარდაშიანი.** (ცოტა ხანს დატრიალებს ჯგუფებში, ხან ერთთან მიდის ხან მეორესთან) (არტემას) შენ მაინც არ მოდიხარ კაცო... ვერა ხედავ რა ამბავია? იმ ტუტუცმა ირაკლიმ აქაურობა აურია ჩემმა მზემ, ის ნაციონალისტი უნდა იყოს!...

**არტემა.** ღმერთმა იცის! მაშ, წავიდეთ. (იპარებიან).

**თევდორე.** (ლადოს) რამ გააგიჟა ის ბიჭი?

**ლადო.** (ჩაფიქრებით) რა ვიცი! ხატის ღვინო ხომ არ დაულევია?

**ლეონ ბერგი.** (ხმა მაღლა) ამხანაგებო, მე ისეთი დიდი შეურაცხყოფა მომაყენა ირაკლი კოვზირიძემ, რომ იძულებული ვარ მოვითხოვო დაკმაყოფილება... ამ დაკმაყოფილებას პირადად მოვსთხოვ თვით თავხედ კოვზირიძეს, მაგრამ მინამდე კი მე ვსთხოვ ამხანაგებს ახლავე გამასამართლონ, ახლავე ამხადონ ყოველივე ბრალდება და თავის ნდობის გამოცხადებით, საშუალება მომცენ კრების განგრძობისა! წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვტოვებ კრებას... მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგებო, ჩემის ასე დამცირებისათვის (მიდის კუთხეში და ეძებს თავის პალტოსა და ქუდს.)

**თევდორე**—ამხანაგებო, დიდი სირცხვილი დაგვემართა, რომ ვეღარ შევიკავეთ პირადის გულისთქმით გატაცებული ირაკლი... კარგი იქნება ეს საქმე როგორმე მოვაწესრიგოთ...

**ერთი ხმა.** ამხანაგო, ირაკლი ყოველთვის გადარეული იყო ხოლმე და დღეს ხომ სულ გადაამლაშა... გამოვუცხადოთ ამხანაგ ბერგს ჩვენი ნდობა და მოვსპოთ ყოველგვარი კამათი ამ საგნის შესახებ.

**ლადო.** სამწუხარო ფაქტს, საფიქრებელიც დაემატა... ყოველ შემთხვევაში, ამხანაგ ირაკლის ჩვენ უნდა მოვსთხოვოთ ანგარიში.

**პირველი მუშა...** უნდა მოვსთხოვოთ!

**ხმები.** მოვსთხოვოთ!.. მოვსთხოვოთ! მინამდე კი ამხანაგ ლეონს ჩვენი ნდობა გამოუცხადოთ.

**ხმები**—ოღონდაც!... საჭიროა... ბრიყვი, გადარეული ირაკლი!...

**ლეონ ბერგი.** ამხანაგებო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ... ჩემს შეურაცხყოფას მე არავის არ შევარჩენ. მთელი ჩემი სიცოცხლე განა იმიტომ შემოგწირეთ, რო გალანძღულიც დავრჩე? (მიდის კარებისაკენ.)

**თევდორე.** (წინ გადაეღობება) მოითმინეთ, ამხანაგო... ჩვენ გიცხადებთ ნდობას და პასუხის გებაში ვაძლევთ ამხანაგ ირაკლის.

**ლეონ ბერგი.** ამიერიდან იგი უნდა გამოირიცხოს ჩვენის წრიდან. აი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა. ახლა კი მე ჩემს თავს დაკმაყოფილებულად ვსთვლი და გთხოვთ განვაგრძოთ კრება. (მიდის თავმჯდომარის ადგილზე)

**ნინო.** უკეთესი იქნება, რომ შევწყვიტოთ.

**ქეთო.** შევწყვიტოთ!

**დანარჩენები.** განვაგრძოთ! (თავმჯდომარეს) რა უნდა გეთქვათ?

**ლეონ ბერგი.** მე უნდა მეთქვა, თუ როგორი წესრიგი მივცეთ ხვალინდელ გამოსვლას (ამ დროს გარედან შემოიღება ფანჯარა ხელის კვრით და გამოჩნდება ოფლში გაწუწული ირაკლი)

VI

**ირაკლი.** (ფანჯარას გადმოეყუდება) ამხანაგებო, თავს უშველეთ, მთელი ჯარი მოდის თქვენს დასაჭერად. (ხალხი ერთმანეთს მიაწყდება, ზოგი კარებისკენ გარბის ზოგი ფანჯრისკენ. ბერგი ფეხს არ იცვლის. დინჯად არიან ლადო და თევდორეც. ქალები ვიშვიშებენ, აქეთ იქით აწყდებიან)

**ირაკლი.** (ფანჯრიდან) ჩვენ ბერგმა გაგვცა! მე ვგრძნობდი ამას... მე ვიცოდი! (რევოლვერს ამოიღებს და ის-ის არის უნდა ესროლოს ბერგს, რომ ერთი ჯარის კაცი უკანიდან სწვდება და ირაკლის გადაათრევს სახლში შემოცვივდებიან ჯარის კაცები, ვახმისტრის მეთაურობით)

**ვახმისტრი.** სახელითა კანონისათა თქვენ დატუსაღებულნი ხართ... ხელები მაღლა! (ყველა მაღლა ასწევს ხელებს) (სათითაოდ იჭერენ, გაჰყავთ.)

**ლადო.** (ჟანდარმს) ჩვენ ხომ ქურდები არა ვართ! ჩვენ გვინდა სიმართლისა და პატიოსნების დამყარება!

**ჟანდარმი.** აი შენი სიმართლე! გაჰყავს.)

**ხმა კულისებიდან.** ხომ არ გაგექცათ?

**მეორე ხმა.** გაიქცა... გაიქცა!

**მესამე ხმა.** გზა შეუკარით, გზა!

(ოთახში შემორბის კიდევ რამდენიმე ჟანდარმი და ეცემიან ბერგს, რომელიც ერთი და დარჩა ოთახში)

**ლეონ ბერგი.** (მკაფიოდ, მედიდურის ღიმილით) ხელი იქით! ნომერი ოცდა ერთი, ჭკვით! (ჟანდარმები უცბად გვერდზე ჩამოდგებიან და შუბლზე ხელის მიდებით გამოეჭიმებიან.)

**ლეონ ბერგი.** ეგრე მემსახურეთ თქვე ბრიყვებო... არამზადებო!! (ზიზღ ნარევის ღიმილით ათვალიერებს.)

ფ ა რ დ ა

(ნელ-ნელა ეშვება)

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება)